ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/7

16/11/2020 7-01-17-4-202011161522

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „რეგლამენტის“ 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.დაიწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

2. განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2021 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება 2020 წლის 19 ნოემბერს 12-00 საათზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე მომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (ვ.შავიშვილი);

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (მ.მგელაძე-ცქიტიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.org.ge**, საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა მხარეებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ 2020 წლის 19 ნოემბერს 11-00 საათამდე მუნიციპალიტეტის

საკრებულოს კანცელარიაში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141, პირველი სართული, ტელ: 26 79-01);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა